

სტეფანე სანანოძის-ჰყონდიდელი

X საუკუნის ქართველ ჰიმნოგრაფთა შორის გამოირჩევა სტეფანე სანანოძის-ჰყონდიდელი, რომლის სახელი ძველ ქართულ ხელნაწერებში მოიხსენიება ამავე ეპოქის ცნობილ მოღვაწესთან, მთარგმნელთან — დავით ტბელთან ერთად. მისი ჰიმნოგრაფიული თხზულებები დაცულია მიქაელ მოდრეკილის იადგარში, სადაც სტეფანეს რამდენიმე ადგილას იხსენიებენ მინაწერები (34r, 104r, 126r, 219v, 243r, 244r). 243r-ზე მოთავსებულია მინაწერი: „ქე, შეიწყალე სტეფანე“, რაც იმას უნდა მიუთითებდეს, რომ ხელნაწერის შედგენის დროისათვის, ე. ი. 978—988 წლებისათვის, იგი გარდაცვლილი უნდა ყოფილიყო. ეფრემ მცირე თავის თხზულებაში „მოსავსენებელი მცირე სუბეონისათვის ლოლოთეტიისა“ გვაწვდის ცნობას სტეფანეს მთარგმნელობითი მოღვაწეობის შესახებ. იგი წერს, რომ სვიმეონ ლოლოთეტიის მეტაფრასებიდან ქართულად უთარგმნია „სანატრელსა სტეფანეს სანანოძისა საკითხავი დაუჯდომელთა და ცხოვრება თეოქტისტე ლეზველისა და სხუანიცა“ (6,225; 7,179). დავით ტბელი და სტეფანე ჰყონდიდელი ერთად იხსენიებიან რუის-ურბნისის ძეგლისწერაში: „ღირსთა მამათა ჩუნთა დავით ტბელისა და სტეფანე სანანოძისა საუკუნომცა...“ (1,559). ეს ფაქტი მიუთითებს ხსენებულ წმიდა მამათა დამსახურებას ქართული კულტურის წინაშე და ადასტურებს მათ ავტორიტეტს. არაარსებითი ხასიათის ცნობები დავითისა და სტეფანეს შესახებ შემოუნახავთ ბაგრატ ბატონიშვილსა და იაკობ შემოქმედელს, რომლებიც აღნიშნავენ მათს მთარგმნელობითს მოღვაწეობასა და იერუსალიმს წასვლას. ამასვე გვაუწყებს ზაქარია გაბაშვილი.

სტეფანე სანანოძის მოღვაწეობის დროის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში განსხვავებული შეხედულებები გამოითქვა. ნ. მარს იგი დავით ტბელთან ერთად მიაჩნდა ხან VII, ხან VIII—IX, ხან X საუკუნის მოღვაწეებად (8). კ. კეკელიძის პ. ინგოროყვასა და ლ. ჯღამაიას აზრით, სტეფანე X საუკუნის მეორე ნახევრის მოღვაწეა. კ. კეკელიძის ვარაუდით, დავით ტბელსა და სტეფანე სანანოძის უნდა ემოღვაწნათ არაუადრეს მეათე საუკუნისა. „შეგვიძლია უფრო დაახლოებით განვსაზღვროთ ცხოვრების დრო. ექვთიმე მთაწმიდელი, — წერს კ. კეკელიძე, — გიორგი ბერის ერთ-ერთ შეკითხვაზე უპასუხებს: „ვესევი პამფილელის წიგნი... ქართულად ვისმე უთარგმნია... და სიცოცხლესა ნეტარისა მამისა იოვანესსა მოეწერა ქართლით სტეფანე ეპისკოპოსსა ჰყონდიდისასა და ეკითხა, ვითარმედ შესაწყნარებელ არსა?“ (საბინინი, საქ. სამოთხე, 432—433; მ. ჯანაშვილი, საუნჯე X საუკ., 29—30). შეკითხვას აძლევს იოანე მთაწმიდელი, უპასუხებენ მამა და შვილი („ჩუნ მიუწერეთ“). ჩანს, სტეფანე სანანოძე და მასთან ერთად დავით ტბელიც იოანე ათონელის თანამედროვენი ყოფილან. მაშინათი სამწერლო მოღვაწეობის დროდ მეათე საუკუნის მეორე ნახევარი უნდა მივიჩნიოთ. ამას მოწმობს თარგმანებათა ენაც, რომელიც მეტად მსუბუქია და თვალსაჩინო არქაიზმებს მოკლებული. უფრო დაახლოებით, მათ უმოღვაწნიათ მეათე საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში“ (7,179—180). მი-

სივე ვარაუდით, ისინი სვიმეონ მეტაფრასტის თანამედროვენი იყვნენ და მათ უმთავრესად ჰაგიოგრაფიული თხზულებები უთარგმნიათ<sup>1</sup>.

ზემოთქმული გვაგვარაუდებინებს, რომ სტეფანეს ჰქონია ეპისტოლური მემკვიდრეობაც. რომელსაც, სამწუხაროდ, ჩვენამდე არ მოუღწევია.

ლ. ხაჩიძემ ყურადღება მიაქცია მიქაელ მოდრეკილის იადგარში 220r-ზე გაკეთებულ მინაწერს. რომელიც მიქაელისავე ხელითაა შესრულებული: „ქრისტე, სტეფანე-მოძღვარი ჩემი შეიწყალე“. როგორც ჩანს, იადგარში რამდენიმეჯერ მოხსენიებული სტეფანე მიქაელის მოძღვარია. ისიც ჩანს, რომ მიქაელს კრებულის შედგენის, რედაქტირებისა და „რიგზე გაწყობისას“ გამუდმებით თან სდევდა თავისი სულიერი მოძღვრის სახე. დაისმის კითხვა, ვინ უნდა იყოს მიქაელის მიერ ასე ხშირად ნახსენები სტეფანე, რომელიც მოძღვარი ყოფილა მიქაელისა? X საუკუნეში რამდენიმე სტეფანეა ცნობილი, მათ შორის ყველაზე გამოჩენილია ჭყონდიდის მთავარეპისკოპოსი სტეფანე სანანოასძე, ცნობილი ჰიმნოგრაფი და მთარგმნელი. კვლავ დაისმის კითხვა: რა უნდა იგულისხმებოდეს მოძღვარში, როგორ უნდა აღვიქვათ და განვსაზღვროთ მისი მნიშვნელობა? ლ. ხაჩიძე ვარაუდობს, რომ მიქაელის მოძღვარი მეხელია და წინ უსწრებს მიქაელს. სტეფანე მეორე, შესაძლოა, მესამე თაობაც იყოს მეხელთა შორის, რომელთაც საკუთარი მოწაფეები ჰყავდათ (13, 18—20). თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ მიქაელ მოდრეკილი მეხელია, მან შეკრიბა „მეხურნი საგალობელნი“ და შეიტანა ისინი თავის საწელიწდო იადგარში, მაშინ უფრო ნათლად გამოიკვეთება სტეფანეს მეხელობა და მისი როლი მიქაელის ჰიმნოგრაფიული საქმიანობის წარმართვაში.

კ. კეკელიძემ ერთ-ერთი გელათური ხელნაწერის მინაწერზე დაყრდნობით მიუთითა, რომ სტეფანეს აგრეთვე უთარგმნია „წმიდათა შორის მამისა ჩუენისა გრიგოლ ნოსელიისა შესხმა წმიდისა სტეფანე პირველმოწამისა“ (K—5,503b—514a). ისიც აღნიშნა, რომ „ესენი ყველა მეტაფრასული რედაქციისაა. ჩამოთვლილთა გარდა, ეფრემ მცირის სიტყვით, „სხუანიცა“ უთარგმნია, „მაგრამ რა და რომელი, ცნობები ამის შესახებ არ მოგვეპოვება“ (7,180).

კ. კეკელიძემ აღნიშნა, რომ „ცხოვრებაჲ თეოქტისტე ლეზველისაჲ“ უთარგმნია თეოფილე ხუცესმონაზონსაც, როგორც ეფრემ მცირე და ხელნაწერთა მონაცემები გვიმოწმებენ (6,154).

სამეცნიერო ლიტერატურაში სტეფანე სანანოასძე-ჭყონდიდელი უპირველესად ცნობილია ჰიმნოგრაფიული მემკვიდრეობით. პ. ინგოროყვა მას დასავლეთ საქართველოს ჰიმნოგრაფიული სკოლის წარმომადგენლად თვლიდა (4). მას აკუთვნებდნენ ნათლისღებისა და წმიდა მოწამე ჰაბოსადმი მიძღვნილ ჰიმნოგრაფიულ კანონსა და ორი მცირე ფორმის საგალობელს, აგრეთვე სტეფანე პირველმოწამისადმი მიძღვნილ საგალობლებს (მ. ჯანაშვილი, კ. კეკელიძე, ი. ლოლაშვილი, ს. ცაიშვილი).

ლ. ჯღამაიამ სპეციალური ნარკვევი მიუძღვნა სტეფანე სანანოასძე—ჭყონდიდელის ჰიმნოგრაფიული მემკვიდრეობის შესწავლას და დაადგინა,

<sup>1</sup> მათა მკვლევარიანმა თავის საკანდიდატო დისერტაციაში — „გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებათა დავით ტბელისეული თარგმანები“, თბ., 1999—კოდიკოლოგიური ანალიზის საფუძველზე ივარაუდა, რომ დავითმა გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებებზე მუშაობა დაიწყო XI საუკუნის 20-იანი წლების ბოლოს და გაასრულა 40-იანი წლების ბოლოს. მისი დასკვნით, „დავითის მიერ გრიგოლის თხზულებათა თარგმნის დრო მოიცავს XI საუკუნის მეორე მეოთხედს“ (ავტორიუტრატი, გვ. 11—12). „დავით ტბელი არის XI ს-ის პირველი ნახევრის მოღვაწე, რომელსაც გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებები უთარგმნია ეფთვიმე ათონელის კრებულების შესავსებად XI ს-ის მეორე მეოთხედში“ (იქვე, გვ. 27).

რომ მისი შექმნილია ნათლისღებისა და წმიდა აბოს შესახებ დაწერილი საგალობლები, ხოლო წმიდა სტეფანე პირველმოწამის სახელზე დაწერილი საგალობლის ავტორია იოანე დამასკელი. იგი ბერძნულიდანაა ქართულად თარგმნილი. შესაძლოა. მთარგმნელი იყოს სტეფანე სანანოასძე. სტეფანესადმი მიძღვნილი საგალობელი, ჰიმნოგრაფიული კანონი და სამი სტიქარონი, მოთავსებულია გიორგი ათონელის „თუენში“. კანონის წინა სტიქარონი აკროსტიქულია, რომელიც გვამცნობს საკუთარ სახელს „სტეფანე“, რამაც მისცა საფუძველი კ. კეკელიძესა და პ. ინგოროყვას, იგი ავტორის სახელად მიეჩნიათ (7.180; 5.455).

ლ. ჯღამაიამ მიქაელის იადგარში მოთავსებული სტეფანესადმი მიძღვნილი საგალობელი შეადარა გიორგი ათონელის „თუენში“ მოთავსებულს, რომელსაც აქვს მითითება ავტორზე — იოანე დამასკელზე. სტეფანე პირველმოწამის სახელზე შექმნილი ჰიმნოგრაფიული კანონი, რომელსაც სტეფანე ჭყონდიდელს მიაწერდნენ, იოანე დამასკელისაა და ბერძნულიდანაა თარგმნილი (15.57—58). კანონის წინა სტიქარონს, „უფალო ღალადყავსას“ გიორგი ათონელის „თუენში“ აქვს წარწერა „სტეფანე“ და იგი არის აკროსტიქული თუნთი-სტიქარონი. მკვლევარმა ივარაუდა: „გიორგის მიუკვლევი ბერძნული დედნის მიხედვით სტიქარონის ავტორისათვის. სტეფანე პირველმოწამის აკროსტიქული თვითნი-სტიქარონისთვისაც შეჯერების შედეგად ავტორი სტეფანე მოუძებნია. ამ სტეფანეში. ჩვენი ვარაუდით, იგულისხმება სტეფანე საბაწმიდელი, VIII საუკუნის საბაწმიდელი ჰიმნოგრაფი, რომლის მოღვაწეობაც ბიზანტიური ლიტერატურის ისტორიაში კარგადაა ცნობილი“ (15.58).

ამრიგად, სტეფანესადმი მიძღვნილი ჰიმნოგრაფიული კანონის ავტორია იოანე დამასკელი. თუნთი-სტიქარონის ავტორად კი შესაძლოა ვივარაუდოთ სტეფანე საბაწმიდელი. ლ. ჯღამაია დასაშვებად მიიჩნევს იმას, რომ სტეფანე სანანოასძე-ჭყონდიდელი იყოს მთარგმნელი ამ საგალობლებისა, რადგან იგი მთარგმნელობითი საქმიანობითაცაა ცნობილი. ამ ვარაუდს ისიც ამაგრებს, რომ სტეფანეს უთარგმნია გრიგოლ ნოსელის შესხმა წმიდა სტეფანე პირველმოწამისა.

ორივე საგალობლის ტექსტები სრულად გამოცემულია პ. ინგოროყვას მიერ „ძველ ქართულ სასულიერო პოეზიაში“ სტეფანე სანანოასძე-ჭყონდიდელის სახელით (სტეფანესადმი მიძღვნილი საგალობლები მოთავსებულია ხელნაწერებში: S—425; S—4999; A—596).

სტეფანე სანანოასძე-ჭყონდიდელის საგალობელი ნათლისღებისა და წმიდა აბოს შესახებ მოთავსებულია მიქაელ მოდრეკილის იადგარში აბოს ხსენების დღეს, 7 იანვარს შესასრულებელ ჰიმნოგრაფიულ თხზულებათა შორის. მას არშიაზე აქვს მინაწერი: „სტეფანე ჭყონდიდ[ელის] ნეტარისა სანანოასძისანი ქე ებლ ყავ სული მათი“ (90r). სწორედ მიქაელ მოდრეკილის ჰიმნოგრაფიულმა კრებულმა გამოავლინა სტეფანე სანანოასძე-ჭყონდიდელი, როგორც ჰიმნოგრაფი-პოეტი. აბოსადმი მიძღვნილი საგალობელი არ არის შეტანილი არც სინურ, არც იერუსალიმურ იადგარებში და არც გიორგი ათონელის „თუენში“. ამ უკანასკნელში იგი ვერ მოხვდებოდა თუენის შედგენის პრინციპების გამო. გიორგის მასში მხოლოდ მსოფლიო ეკლესიის მიერ წმინდანებად აღიარებულთა სახელები შეუტანია. ასეთები იყვნენ: ექვთიმე მთაწმიდელი, ილარიონ ქართველი, წმინდანინო და იოდასაფი. მიქაელს კი ქართული ეკლესიის მიერ აღიარებულ წმინდანთა სახელზე შექმნილი საგალობლებიც შეუტანია თავის იადგარში.

ლიტურგიკულ კრებულებზე დაკვირვება აჩვენებს, რომ აბოს კანონიზაცია მისი წამებისთანავე უნდა მომხდარიყო, კერძოდ, VIII საუკუნის ბოლოსათვის. IX საუკუნეში აბოს სახელი წმინდანთა შორის უკვე აღიარებულია. მისი ხსენება VIII საუკუნის მიწურულის არქაული რედაქციის მოკლე იადგარში გვხვდება. ასევე იცნობს აბოს იერუსალიმური ტრადიცია. ყოველივე ამის საფუძველი შეამზადა იოანე საბანისძის ჰაგიოგრაფიულმა თხზულებამ, დაწერილმა 786—790 წლებში. ეს თხზულება გახდა წყარო ქართველ ჰიმნოგრაფთათვის წმიდა აბოს შესახებ საგალობლების შექმნისა.

როგორც „აბო თბილელის წამებიდან“ არის ცნობილი, აბო აწამეს 786 წლის 6 იანვარს. ნათლისღების დღეს. ამიტომ აბოს სახელზე შექმნილი საგალობლები ერთდროულად ეძღვნება ნათლისღების დღესასწაულსა და წმიდა აბოს. მიქაელის იადგარში აბოსადმი მიძღვნილი საგალობლები 7 იანვარსაა დადებული, ე. ი. ნათლისღების მეორე დღისთვის განუწესებიათ წმიდა აბოს მოსახსენებელი. ამასთან დაკავშირებით კ. კეკელიძემ იოვანე საბანისძის ჰაგიოგრაფიული თხზულებისადმი მიძღვნილ ნარკვევში აღნიშნა: „აქ ჩვენ გვაქვს გამოძახილი ლიტურგიკული პრაქტიკისა, რომლის მიხედვით საუფლო დღესასწაულებში, როგორცაა 6 იანვარი — ნათლისღება, არ შეიძლებოდა დადებული ყოფილიყო სხვა დღესასწაული, განსაკუთრებით მოწამეთა ხსენება. რომელიც ამიტომ მეორე დღეს გადაჰქონდათ. ასე მოქცეულან ამ შემთხვევაშიც: თუმცა აბო 6 იანვარს აღესრულა, მისი ხსენება ქართლის ეკლესიამ მეორე დღეს — 7 იანვარს დააწესა“ (ეტიუდები..., XIV, თბ., 1986, გვ. 33).

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ საგალობელში შექმნილია, ერთი მხრივ, ნათლისღების საუფლო დღესასწაული, მეორე მხრივ, წმიდა აბო, რაც სახელწოდებებიდანაც ჩანს (კ. კეკელიძე, ლ. ჯღამაია). მიქაელის კრებულში 7 იანვარს ნათლისღებისა და აბოსადმი მიძღვნილი ოთხი საგალობელია შეტანილი. ლ. ჯღამაიამ გამონაკლისად მიიჩნია ჭილექრატის იადგარში (H—2123) დაცული საგალობელი, რომელსაც სამეცნიერო ლიტერატურაში იოანე საბანისძეს აკუთვნებენ და რომელიც მხოლოდ წმიდა აბოს ეძღვნება. მკვლევარი არკვევს აგრეთვე იოანე საბანისძის ჰაგიოგრაფიულ თხზულებასა და სტეფანე ჭყონდიდელის საგალობელს შორის ურთიერთობას. შედარება-შეჯერების საფუძველზე ასკვნის, რომ საგალობელი დიდადაა დავალებული მარტვილობისაგან და ახალს არაფერს შეიცავს (15).

სტეფანე სანანოძის-ჭყონდიდელის აბოსადმი მიძღვნილი საგალობელი ორი მცირე ფორმის სტიქარონი და ერთი ჰიმნოგრაფიული კანონია. კანონში 9 გალობაა. სტიქარონს „უფალო ღაღადყავსა“ აქვს მითითება ხმაზე: „კმაჲ დ.“ ყოველი გალობის დასაწყისში მითითებულია ძლისპირი, ხოლო დასასრულს — ღმრთისმშობლისანი. ორივე შემთხვევაში მხოლოდ საწყისი სიტყვებია მოხმობილი.

როგორც საგალობლის სახელწოდება მიგვანიშნებს, იგი აგებულია ძირითადად ქრისტეს ნათლისღების ევანგელური მონათხრობის მიხედვით. რომელთანაც მჭიდროდაა დაკავშირებული აბო თბილელის წამება ქრისტეს სჯულზე მოქცევის გამო. საგალობლის მიხედვით აბო უკვე წმინდანადაა აღიარებული. საგალობელი ეყრდნობა ჰიმნოგრაფიისათვის დამახასიათებელ სახეთა პარალელიზმს. ამიტომ ის ხატები და სიმბოლოები, რომლებიც ქრისტეს მიემართება და რომლის წყარო „აბო თბილელის წამებაა“, მიესადაგება ქრისტეს კვალზე შემდგარ აბოსაც, ოღონდ ყველა სახელი არ არის საგალობელში გამოყენებული.

ჰიმნოგრაფიული კანონის პირველსავე გალობაში ჰიმნოგრაფი ევედრება ღვთის სიტყვას, იესო ქრისტეს, რომ სიბრძნის სიტყვით განსწავლოს წმიდა ნათლისღების დღესასწაულისა და წმიდა მოწამის აბოს კეთილმოღვაწეების შესაქებად. ხოლო საგალობლის ბოლოს, „აქებდითსაში“ აღნიშნავს, რომ ნეტარი აბოს ღვაწლის მოთხრობისათვის ენა უძლურია. საგალობელში ჰიმნოგრაფს ამ ევედრებით ღირიკული განწყობილება შეაქვს. იგი ნათლისღების საუფლო დღესასწაულის ქების ფონზე წარმოაჩენს წმიდა აბოს დამსახურებას ქრისტიანული სარწმუნოებისა და ქართველი ერის წინაშე.

სტეფანე სანანოასძე-ჭყონდიდელის საგალობელი გამსჭვალულია სარწმუნოებრივი მოტივებითა და ეროვნული იდეალებით, რასაც იოვანე საბანისძის თხზულების მკვეთრად გამოვლენილმა ეროვნულმა სულისკვეთებამ შეუქმნა საფუძველი. მასში გამოიკვეთა ერის რჩეულობის იდეა, რომელიც ძალზე გააქტიურებული ჩანს X საუკუნის ქართულ მწერლობაში. ქრისტიანულ მწერლობაში მას საფუძველი ბიბლიამ დაუდო და ყველა ქვეყნის კულტურაში განვითარდა. ბიბლიური მონაცემებით, რჩეულია ებრაელი ერი, რომელსაც „ერი საზეპურო“ ეწოდება. ქართულ მწერლობაში ტერმინი „ერი საზეპურო“ X საუკუნიდან გვხვდება და მას რელიგიურ-სიმბოლურთან ერთად იდეოლოგიური დატვირთვა აქვს, რასაც საბასეული განმარტება — „ზეცის პურისმტე“ ანუ ღვთაებრივი პურისა და მადლის მოზიარე — ზედმიწევნით ასახავს (11). სტეფანე სანანოასძე ერის რჩეულობის იდეას უდებს საფუძველად თავის თხზულებას. ოღონდ მას ტერმინი „ერი საზეპურო“ არ გამოუყენებია; იგი ქართველ ერს „გამორჩეულს“ უწოდებს, რაც არსობრივად ემთხვევა „საზეპუროს“: „ღუაწლსა სრულსა მკნედ გამოჩნდა მოწამე ჰაბო და აღავსო ეკლესიაჲ სულნელებითა ნელსაცხებელთაჲთა და წმიდა ყო ერი მადლითა საღმრთოჲთა გამორჩეული“ (S—425, 90v—91r). ქართველი ერის გამორჩეულობა საღმრთო მადლით აბოს მოწამებრივმა ღვაწლმაც დაადასტურა. აბოს მოწამებრივად დათხეულმა სისხლმა განწმინდა ქართლი: „არცხუნე, ნეტარო, ნაშობთა მათ მკველისათა უღმრთოთა და დაუყვენ პირნი მათნი მგმობარნი საღმრთოჲთა მით სიბრძნითა ზეგარდამოჲთა, რაჲჲმს ჰქადაგე სამებაჲ ერთი ღმრთეებაჲ და განსწმიდე ქართლი სისხლისა შენისა დათხევითა. მოწამეო“ (90v).

ჰიმნოგრაფი აზოგადებს აბოს მოწამებრივ აღსასრულს და ქართველ ერთან ერთად სხვადასხვა ტომის ქრისტიანებს ღირსეული გალობით მის შემკობას შესთხოვს: „ყოველნი თესლნი მოვედით მკუდრთა თანა ქართლისათა დღეს და იხილეთ ღუაწლისა მძლე აბო განშუენებული ბრწყინვალედ სისხლითა წამებისაჲთა ღირსად გალობით მას უგალობდეთ“ (90v). ქართველი ერი, ისევე როგორც სხვა მართლმორწმუნე ერი, რჩეულია, რომელიც ქრისტეს შეუდგა, წმიდა ემბაზით ნათელილო და მართალი რწმენით ღმერთი ადიდა. ამასთან, რჩეულია იგი იმიტომაც, რომ მის მიერ განვლილი ისტორიული გზა მოწამებრივია, მაცხოვრის მოწამებრივ გზას მიმსგავსებულია. ცხადია, ყოველივე ამას რამდენიმე ფაქტორი უწყობდა ხელს, რაც, მართალია, არ არის საგალობელში აღნიშნული. მაგრამ მთავარი ისაა, რომ ჰიმნოგრაფიული თხზულება სიმბოლოებით, მინიშნებებით გვაწვდის ფარულ ცოდნას; აქ საუბარია იმის შესახებ, რომ ქართველი ერი უფლის რჩეულია უკვე, აბოს წამებამდე, ე. ი. წმიდა აბოს გამო კი არ არის რჩეული, „საზეპურო“. არამედ სხვა ფაქტორთა გამო. სტეფანე სანანოასძე, ქართული ეკლესიის ერთ-ერთი უდიდესი სამწყსოს — ჭყონდიდის ეპარქიის წინამძღვარი, უთუოდ გულისხმობდა ქართველი ერის რჩეულობაში მის განმაპირობებელ რამდენიმე ნიშანს: საქართველოს ღვთისმშობლისადმი წილხედობი-

ლობას, უფლის კვართის მცხეთაში დავანებას, სამსჯვალის ქართლში კრძალულებას, წმიდა ანდრია მოციქულის (აგრეთვე სხვა მოციქულების) მისიონერულ მოღვაწეობას და სხვ.

წმიდა აბო საგალობელში იწოდება სანატრელად, ყოვლად ქებულად, ნეტარად, მოწამედ, წმიდად, ღირსად, გვირგვინოსნად, ქრისტეს მკნე მოწამედ, ღუაწლისა მძლედ, რომელმაც „განიძარცუა ძუელი კაცი საქმითურთ და შეიმოსა ძალი ქრისტესი“, „განშუენებული ბრწყინვალედ სისხლით წამებისაჲთა“ წარუდგა ქრისტეს. წმიდა აბომ „ნათლისღება სამი მოიგო: წყლითა, სულითა და სისხლითა, და შემდგომად ცეცხლითა გამობრწყინდა ღუაწლი“ მისი. ნეტარი აბო გამოჩნდა „აგარის ნათესავთა ძირთა მათ უნაყოფოთა ნერგთა მათგან ეკლოვანთა, ვითარცა ვარდი შუენიერი ფერთა მეწამულითა“. მას საჭურველად ჰქონდა „ჯუარი ქრისტესი, მტკიცე სასოვებაჲ და სიყუარული“. ნელსაცხებელთა კეთილად შემზავებელმა აბომ მოიძულა „სიცრუვით შეთხზული იგი ისმაიტელთაჲ მოძღურებაჲ“ და შეიყვარა ქრისტეს მცნებანი, რის გამოც „ჰრბიოდა მსგავსებითა ვნებათა მათ მისთაჲთა“, საწამებლად მიმავალი „თავსა თვსსა სიხარულით მოგზაურ“ ექმნა.

სტეფანე სანანოძეს მისდევს იოვანე საბანისძის ჰაგიოგრაფიული თხზულების სიმბოლიკას და აბოს წარმოაჩენს ვითარცა „ვარდს ეკალთა შორის“, რომლის სისხლის დაღვრით მეწამული გახდა მისი ღუაწლი, წარმართთა ეკლესია კი ძოწეულით შეიმკო: „სისხლთა დათხევითა მეწამულ ჰყავ ღუაწლი, სანატრელო, ყოვლად ქებულო მოწამეო ჰაბო, და შეიმკვე ვითარცა ძოწეულითა ეკლესიაჲ წარმართთა და შეჰკრიბენ მას შინა ერთობით ყოველნი მგალობლად ღუაწლითა მით შენითა, ქრისტეს მოწამეო“. მეწამულის, წითელი ფერის სიმბოლიკა ქრისტეს გოლგოთაზე ჯვარცმისას დაღვრილ მოწამებრივ სისხლს უკავშირდება, ხოლო ეკლესიის ძოწეულით შემკობა სიმბოლურად საკრალიზებულ სივრცეს მიანიშნებს. იგი აგრეთვე სამკურნალო თვისებების მქონე თვალია. ეპიფანე კვიპრელმა ბრწყინვალეების გამომცემ ოქროსფერ ქვად მიიჩნია, რომლის სამკვიდრებელია წმიდა ადგილი გალილეის ნაზარეთის მახლობლად, სადაც „შობასა და მიდგომილებასა მარიამისსა მიეხარა გაბრიელითა და მოეცა ოქროჲ იგი ზესკნელი ქალწულისა მისგან ნაზარეთს, სადაცა იგი მიდგომაჲ იქმნა“ (შატბერდის კრებ., 158). ძოწეული წმინდანთა სიმართლეს გვაუწყებს. იგი ზაბილონის ჩამოშვალთა თვალია, ხოლო ზაბილონი იყო ნაზარეთისა და ზღვის კიდეთა მფლობელი. ამიტომ ძოწეული სივრცული კატეგორიის მატარებელია. საღვთისმეტყველო ლიტერატურაში იგი ღვთისმშობელს უკავშირდება, მისი შესამკობი თვალია. გავიხსენოთ სტეფანეს თანამედროვე ჰიმნოგრაფის ფილიპეს ღვთისმშობლისა და შობისადმი მიძღვნილი საგალობელი: „იაკინთე ცოწეული სამოსლად გაქეს, ღმრთისმშობელო“. ძოწეულის თვალი საკრალურია. ამიტომ წმიდა აბოსადმი მიძღვნილი საგალობლის მიხედვით, აბოს მოწამეობრივი სისხლით წარმართთა ეკლესიაც ძოწეულით შეიმკო და განიწმინდა. როგორც ქართველი ერის, ისე სხვა ქრისტიანული ქვეყნების ერების სულიერ განწმენდაზე ჰიმნოგრაფი მთელ საგალობელში გვესაუბრება.

უნდა აღინიშნოს, რომ საგალობელში სივრცე და დრო საკრალიზებულია. სივრცული თვალსაზრისით მოქმედების ადგილია წმინდა მდინარე იორდანე, სადაც ნათელილო ქრისტემ და სადაც განაქიქა მაცთური. ნათლისღებასთანაა დაკავშირებული აბოს ქართლს მოსვლა და ქრისტესთვის წამება. აბო ნათლისღების დღეს აღესრულა, რაც საგალობლის დროსაც საკრალიზებულს ხდის. ყოველივე ეს ღვთის განგებითაა განპირობებული. აბო „ღუაწლის ემბაზად“ შთახდა, როგორც უფალი ჩვენი იესო ქრისტე იორდა-

ნეში. აბოს ნათლობა, მოწამებრივი ცხოვრება და აღსასრული ქრისტეს მიმსგავსებითაა პირობადებული. ქრისტეს ნათლისღებით წინასწარმეტყველთა თქმული განცხადდა: „მკსნელო, დღეს დაემტკიცა თქმული იგი პირველი ყოვლად აღმოსავალით. ბლუარით მოვიდენ წიალად აბრაჰამისა“ (90v). აღმოსავლეთი ის მხარეა, საიდანაც სინათლე მოდის (შდრ. მთ. 2.29). ხოლო სამხრეთი („ბლუარი“) ის ადგილია, სადაც მარადიული ნათელი მკვიდრობს. იმის გამო, რომ ნათლისღების საუფლო დღესასწაულია საგალობელში შექებული, ნათლის სიმბოლიკა განსაკუთრებულ ადგილს იჭერს. ქრისტე არის თვითმნათობი. შეუქმნელი ნათელი, „რომელმან განანათლა სოფელი“ (შდრ. ი. 1,7-9; 8, 12), რათა „განვნათლდეთ ჩუენ მეორედ მშობელ“. იგივე ტროპარი გამორჩეულია ნათელთან დაკავშირებული ევფონიით, რითაც ნათლობის საკრალურობაა მოწოდებული.

საგალობლის მიხედვით, წმიდა აბო განღმრთობას აღწევს: „სოფლისა დიდებაჲ და საშუებელი შეურაცხჳყავ. მკნეო, ღუაწლისა მძღეო და შეიყუარე შენ ქრისტჳ და აწ მისთანა მკჳდრ ხარ, მეოხ გუეყავ, რომელნი გევედრებით, სანატრელო“. ქრისტესთან მკვიდრობა მხოლოდ რჩეულთა ხვედრია, იგი გულისხმობს ადამიანის განღმრთობის იდეას ზოგადად და აბოს განღმრთობას კერძოდ. არეოპაგიტული მოძღვრებიდან ცნობილია თეოზისის, იმავე „განღმრთობის“, ორგვარი გააზრება: ინდივიდუალური და ზოგადი. ანუ საკაცობრიო. ყოველი ადამიანი ისწრაფვის განღმრთობისაკენ, რაც ცალკეული ინდივიდის სულიერი ძალების მოკრებასა და ხორციელების დათრგუნვას ემყარება. ამგვარი გზა განღმრთობისა წარმოჩნდება ჰაგიოგრაფიაში. სადაც უმთავრესია ადამიანის წმინდანად ქცევის პროცესი. წმიდა აბო განღმრთობის ამგვარი გზითაა წარმოსახული ჯერ იოვანე საბანისძესთან, ხოლო შემდეგ მის კვალობაზე აბოსადმი მიძღვნილ ყველა საგალობელში, მათ შორის სტეფანე სანანოისძის თხზულებაში.

საგულისხმო ფაქტია ის, რომ სტეფანე სანანოისძემ ორიგინალური ჰიმნოგრაფიული თხზულება შექმნა წმიდა აბოს შესახებ. რომელიც არაბებმა ტყვეპყვეს წმიდა სტეფანე პირველმოწამის ხსენების დღეს, 27 დეკემბერს, ხოლო აწამეს ქრისტეს ნათლისღების დღეს, 6 იანვარს, რაც ორგვარ მნიშვნელობას იძენს. ერთი მხრივ, საგალობელში წარმოსახული დრო გასიმბოლურებულია ქრისტიანული დღესასწაულების ფონზე, მეორე მხრივ, თვით ჰიმნოგრაფის ლიტერატურული ინტერესიც ჩანს განსაზღვრული წმიდა აბოსთან დაკავშირებული თემატიკით: სტეფანემ ორიგინალური ჰიმნოგრაფიული თხზულება მიუძღვნა ნათლისღების საუფლო დღესასწაულსა და ამ დღეს ნაწამებ წმიდა აბოს, რომლის წამება დაიწყო 27 დეკემბრიდან, წმ. სტეფანე პირველმოწამის ხსენების დღიდან და რომლისადმი მიძღვნილი იოანე დამასკელის საგალობლისა და გრიგოლ ნოსელის წმიდა სტეფანე პირველმოწამის შესხმის მთარგმნელიც თვითონ უნდა იყოს. ამდენად, ლ. ჯღამაიას მიერ გამოთქმული ვარაუდი სტეფანეს მიერ წმ. სტეფანე პირველმოწამისადმი მიძღვნილი იოანე დამასკელის საგალობლის თარგმნის შესახებ სტეფანე სანანოისძის ლიტერატურული ინტერესების გათვალისწინებით მყარ საფუძველს იძენს.

სამეცნიერო ლიტერატურაში შენიშნულია, რომ იოანე საბანისძის ჰაგიოგრაფიულ თხზულებაში არეკლილია სამყაროს შემადგენელი ოთხი ელემენტის შესახებ ფილოსოფიური მოძღვრების საფუძვლები. როგორც ჩანს, ჰიმნოგრაფსაც ჰქონდა ეს ცოდნა და სწორედ ამიტომ გაამახვილა ყურადღება „აბოს წამებაში“ გამოყენებულ ფილოსოფიურ შეხედულებებზე, როდესაც წმიდა აბოს მიმართა შემდეგი სიტყვებით: „ნათლისღებაჲ სამი მოიგე,

მოწამეთ, წყლითა, სულითა და სისხლითა, და შემდგომად ცეცხლითა გამო-  
ბრწყინდა ღუაწლი შენი“. აქ მოხსენიებული წყალი, სული (ე. ი. ჰაერი),  
სისხლი (ე. ი. მიწა) და ცეცხლი, ძველი ბერძნული ფილოსოფიის ერთ-ერთი  
უდიდესი წარმომადგენლის ეპიკურეს ნააზრევის მიხედვით, სამყაროს შემა-  
დგენელი ძირითადი ნაწილებია (შდრ. ვეფხისტყაოსანი: „ცეცხლსა, წყალსა  
და მიწასა, ჰაერთა თანა ძრომასა“...). აქედან გამომდინარე, სტეფანე სანა-  
ნოასძე-ჭყონდიდელის საგალობელი თავისი ეპოქის ცოდნას, გამოცდილე-  
ბას ღრმად სწვდება და საღვთისმეტყველო ინტერესებთან შეხამებით იყე-  
ნებს.

ჰიმნოგრაფიაში გამოიყენება ქების ობიექტის ამქვეყნად მოვლინების  
ღვთაებრივი წინასწარგანზრახულების პოეტური ხერხი. სტეფანეს საგალობ-  
ლის მიხედვით, წმიდა აბოს მოვლინება წინასწარვე იყო ღვთის მიერ გან-  
გებული, რათა „სიყუარულისა საკრველმან შეკრას გონებაჲ მოწამისაჲ მო-  
თმინებად სატანჯველთა ურიცხუთა, რომლითაცა დაამკუა სიქადული  
ულმრთოთა“. წმიდა აბო შედარებულია წმიდა ანტონი დიდთან. თავისი  
ღვაწლით, მარხვით, სიწმიდით, ხორციელის დათრგუნვით იგი წამების  
გვირგვინის ღირსი გახდა.

სტეფანე სანანოასძე-ჭყონდიდელის საგალობელი კომპოზიციური თვალ-  
საზრისითაც მნიშვნელოვანი თხზულებაა. ამ მხრივ ამ ჰიმნოგრაფიული კანო-  
ნის შედარება ბიბლიურ გალობებთან იძლევა შემდეგი დასკვნის გაკეთების  
საფუძველს: მისი ყველა, ცხრავე გალობა არის ბიბლიური გალობების ერთ-  
გვარი პარაფრაზი, თითოეულ მათგანს კავშირი აქვს თავის არქეტიპულ გა-  
ლობასთან მასში გამოთქმული აზრითა და გამოხატული იდეით.

ამრიგად, სტეფანე სანანოასძე-ჭყონდიდელი არის X საუკუნის ერთ-  
ერთი გამოჩენილი სასულიერო მოღვაწე. ერთი უმნიშვნელოვანესი ეპარქიის  
მთავარეპისკოპოსი, რომელიც ცნობილი ჰიმნოგრაფი და მთარგმნელი ყო-  
ფილა. მისი ორიგინალური მემკვიდრეობიდან ჩვენთვის ცნობილია მხოლოდ  
„დასდებელნი ნათლისღებისა და წმიდისა მოწამისა ჰაბოასნივე“, რომელიც  
ჰიმნოგრაფიული ჟანრისათვის დამახასიათებელი ამალღებული სტილისა და  
ღრმა საღვთისმეტყველო აზროვნების გამომხატველი ერთ-ერთი საუკეთესო  
ნიმუშია. საგალობელი და მისი თარგმანები მიგვანიშნებენ მის საღვთისმე-  
ტყველო-ლიტერატურულ ინტერესებსა და სიღრმეს. სტეფანეს საგალობელ-  
ში აირეკლა X საუკუნეში საკმაოდ გააქტიურებული იდეა ერის რჩეულო-  
ბისა, რაც მის ავტორს ეროვნულ მოღვაწედ წარმოაჩენს.

#### და მ ო წ მ ე ბ უ ლ ი ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ა

1. დიდი სჯულისკანონი, გამოსაცემად მოამზადეს ე. გაბიძაშვილმა, ე. გიუნაშვილმა, მ. დოლა-  
ქიძემ, გ. ნინუამ, თბ., 1975.
2. М. Джанашивили, К материалам по истории и древностям Грузии и России,  
Тифлис, 1912.
3. М. Джанашивили, Описание рукописей церковного музея, Тифлис, 1903.
4. პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, თბ., 1954.
5. პ. ინგოროყვა, ძველი ქართული სასულიერო პოეზია, I, თბ., 1913.
6. კ. კეკელიძე, ეტრულები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, V, თბ., 1957.
7. კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I, თბ., 1960.
8. Н. Я. Марр, Из книги царевича Баграта о Грузии, переводах духовных сочинений,  
ИАН, X, № 2, 1900.
9. მიქაელ მოდრეკილის ჰიმნები, სამ წიგნად, გამოსაცემად მოამზადა და გამოველევა დაურთო  
ვაჟა გვახარია, თბ., 1978.
10. მ. საბინინი, საქართველოს სამოთხე, პეტერბურგი, 1882.
11. ნ. სულავა, „ერი საზეპურო...“, „ცისკარი“, 1997, № 5.

12. ქართული პოეზია, I, ს. ცაიშვალის რედაქციითა და წინასიტყვაობით, თბ., 1979.
13. ლ. ხ ა ჩ ი ძ ე, მიქაელ მოდრეკილის ერთ-ერთი სვედრებელი ფორმულა, კრებ. „გულანი“, თბ., 1989.
14. მ. ჭ ა ნ ა შ ვ ი ლ ი, საუნჯე მეათე საუკუნისა, ტფ., 1891.
15. ც. ჭ ღ ა მ ა ი ა, მეათე საუკუნის ქართველი ჰიმნოგრაფები, „მაცნე“, ელს, 1974, № 3.

Н. В. СУЛАВА

## СТЕФАНЭ САНАНОИСДЗЕ-ЧКОНДИДЕЛИ

### Резюме

Выдающийся деятель X века Стефанэ Сананойсдзе-Чкондидели является гимнографом и переводчиком, из оригинального наследства которого до нас дошло лишь одно песнопение, посвященное святому Або Тбилели. Гимнографическое произведение выделяется своей высокохудожественной формой, в нём использованы христианские символические приемы. Оно исполнено прекрасным риторическим стилем и выявляет богословское знание и мышление автора, а также литературные интересы и глубину образного мышления. В песнопении отражается довольно активизированная в X веке идея избранности народа которая представляет перед нами автора национальным деятелем.

В статье исследуются богословские вопросы и приемы образного мышления, при помощи которых песнопение становится блестящим гимнографическим произведением X века.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის რუსთველოლოგიის განყოფილება.

წარმოადგინა შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტმა.